ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ. რკინის გზაზე 60 კაპ.

№ 395 1918 წ. ხუთშაბათი. ნოემბერი 28. №/395

უკრაინაში დამოუკიდებლობის მომხრეებმა და ბოლშევიკებმა რუსოფილური მთავრობა დასცეს და სკოროპადსკი დააპატიმრეს. 8 ათასი აჯანყებული კიევთანაა. მათი მეთაურები გრუშევსკი, პეტლიურა და ვინნიჩენკოა. სკოროპადსკის დასახმარებლად კრასნოვის ჯარი მიდის. პეტლიურას ჯარმა ეკატერინოსლავი აიღო.

ხაპოლიტიკო და ხალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

მშობლები ილია და სოფიო, ძმები: გიგა, სიკო და ვლადიმერ და დები ნინო, თამარ, ტასო და ქეთევან ფაშალიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალნენ პირველთა ქალი და სიძე და დანარჩენთა დაი და სიძე

მანანა და ნიკო გურამშვილები.

1421

ტფილისის კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო აცხადებს, რომ თავისუფალ ია ადგილები ხსენებულ ეკლესიის შტატის მთავარ დიაკონის, და ორი მედავითნისა. არჩევნები დანიშნულია კვირას, დეკემბრის 8-ს (ახალი სტილით) მსურველთ თხოვნები უნდა შემოიტანონ სამრევლო საბჭოს სახელზე. 2470

ი. გრიშაშვილი

საიათნოვა.

ისიდორე ხტრუას გამოცემა
ფასი 15 მანეთი.
იყიდება წ.-კ.-წიგნ. მაღაზიაში.
და სხვ.

1886

ფარმაცევტთა პირველი ყრილობის მომწვევი ბიუროსაგან

კვირას, დეკემბრის 1-ს დილის 12 საათზე მედიკურ საზოგადოების შენობაში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა.

მისამართი: ქალაქის აფთიაქი. ყრილობის წევრები წინა დღით უნდა გამოცხადდნენ საორგანიზაციო ბიუროში. 2463

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მადათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

ტფილისი, ნოემბრის 28.

რუსეთის გაერთიანება

ზოგიერთ წრეებში, განსაკუთრებით ჩვენს მტრებსა და საქართველოს დამოუკიდებლობის მგმობელებში დიდი სიხარულია და კბილთა ღრჭენაა მომავალ სიამოვნეაათა მოლოდინში. ეს სიხარული გამოწვეულია შემდეგის ამბით: რუსეთში მოდიან მოკავშირენი და სცდილობენ იგი აღადგინონ. რანაირი იქნება ეს აღდგენა, როგორი იქნება მომავალი რუსეთი—მათ არ ეინტერესებათ, მათი სიხარული მხოლოდ და მხოლოდ მდაბალი, ქვენა გრძნობებით არის გამოწვეული: ჩვენს მტრებს ჰგონიათ, რომ რუსეთის გაერთიანებამ უნდა იმსხვერპლოს საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთი უნდა აშენდეს პატარა ერთა ცხოვრების ნანგრევებზე. აუსრულდებათ გულის წადილი? ძნელი სათქმელია. ხოლო დღეს კი ყველანი ამ „გაერთიანებაზე“ ღრიალებენ, გაზეთებს ცრუ ხმებით, ყალბი ცნობებით ავსებენ და ასე ჰქმნიან ატმოსფერას, როდესაც საშინელი ნერვიანობა მკვიდრდება. გარდა ამისა, მრავალი ამ შავრაზმელთაგანი სოციალისტის ქურქში ეხვევა და გვირჩევს იმ დემოკრატიულ ფრონტის გაერთიანებას, რომლის პირველნი თვითონ იყვნენ. ზოგი კიდევ ფედერაციაზე გველაპარაკება და გვარცხვენს კიდევაც. რად დაგვიწყდათ საკუთარი ლოზუნგებიო.

რუსეთის გაერთიანება შეიძლება მოჰხდეს, მაგრამ ეს იქნება გაერთიანება რეაქციის და სამარის სიჩუმეში. ეს იქნება ძირიან ფესვიანად მოსპობა, აღმოფხვრა რევოლიუციის მონაპოვართა და ერები, რომელნიც ეღირსნენ თავისუფლების მზეს ნიკოლოოზის ბნელ საკნებს დაუბრუნდებიან. ნუთუ ამ „გამაერთიანებელთ“ ჰგონიათ, რომ ადვილად შეიძლება მოსპობა პოლონეთის, უკრაინის, ფინლანდიის და საქართველოს დამოუკიდებლობისა? გარდა ამისა თვით ველიკოროსიაში რეაქციის ძალებს მოუხდებათ შეჯახება ბოლშევიკებთან, რომელთაც მაგრად გაიდგეს ფესვები. რასაკვირველია, ისინი დამნაშავენი არიან რუსეთის რევოლიუციის დაღუპვაში, მაგრამ ნიკოლოოზის და მათ არჩევანი როცა იმართება—უეჭველია ყოველი დემოკრატი ხელს გაუწვდის არა ნიკოლოოზს, ხოლო ის ელემენტები, რომელთაც თავს უდვიათ გაერთიანება რუსეთისა უძლურნი არიან არამც თუ ფიზიკურად, არამედ მორალურადაც. აბა, რა უნდა იყოს ის მთავრობა, რომელსაც „სათავეში ჩაუდგებიან ცნობილი დრაგომიროვი და არა ნაკლებ ცნობილი საზონოვი, ერთი დიდი მიზეზთაგანი მსოფლიოს ომის ატეხისა? ეს ხომ ყველა ნიკოლოზის მარჯვენა ხელია და როდესაც გვახსენებენ ფედერაციას, რატომ არ იგონებენ ამ ფაქტებსაც? ჩვენი მტერმოყვარეთა თავხედობა იქამდე მიდის, რომ ივიწყებენ ყველაფერს ამას და გვირჩევენ რუსეთის აღდგენისათვის ჩვენ ვიზრუნოთ. გამოდის, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ საკუთარ თავისუფლებაზე და უცადოთ იმ დროს, როცა დაღვეული რუსეთი აღსდგება და შემდეგ მოსვენება ვპოვოთ დრაგომიროვის და საზონოვის კალთაში. ამას ვერავინ მოესწრება.

არც ინგლისის ინტერესი მოითხოვს იმას, რომ რუსეთი აღაგოს პატარა ერთა ნანგრევებზე. მიტომ რომ ვინ არ იცის, რა უდღეური იქნება ასეთი კომბინაცია და რამდენი ბრძოლა დასჭირდებათ მათ ჯერ თვით ბოლშევიკურ რუსეთთან და მერე განთავისუფლებულ ერებთან. მხედველობაში მისაღებია ის მოძრაობაც, რომელიც ამჟამად ევროპაში იწყება და დემოკრატიული ევროპა არასოდეს მოინდომებს რუსეთის ჟანდარმის აღდგენას. შეიძლება იმპერიალისტებმა დროებით გაიმარჯვონ, მაგრამ საბოლოვოდ პატარა ერთა დამარხვა ოცნება და უტოპიაა.

ცრუ იმედები

ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებმა ფრთები შეისხეს. ძველი იმედები გაუცხოველდათ და საათობით ითვლიან დროს. ხშირად ლოდინი წინ უსწრებთ, ოცნებას სინამდვილედ წარმოიდგენენ და ისეთის კილოთი იწყებენ ლაპარაკს, თითქოს უკვე აღდგენილი იყოს „ძველი რეჟიმი“, რუსის რეჟიმი და ქართველ ხალხს ისევ უღელი ადგეს კისერზე. დასჯასაც კი გვემუქრებიან და ზოგიერთს შეიძლება ალიხანოვ-ავარსკისებურ ექსპედიციით გადამწვარი საქართველოს სახე წინასწარ უხარებდეს გულს.

მერე რისთვის? რა დანაშაულისთვის? რამ შეაერთა ასე მჭიდროდ სხვა და სხვა მიმართულების ჯგუფი, რამ დაუკავშირა ერთი მეორეს რევოლიუციონერი და რეაქციონერი, რუსის „სოციალისტი“ და სომხის ბურჟუაზია? როგორ შეხვდნენ ერთმანეთს დენიკინი, რომელიც იმას გვაბრალებს, რომ ვითომც ჩვენი მთავრობა რუსებს სდევნის და რუსეთის ხაზინის ქონება მიითვისა, და სოციალისტები, რომელნიც იმას გვისაყვედურებენ, რომ ვითომც ქართველი ხალხის მონობისაგან განთავისუფლებით დემოკრატიის ინტერესები შევლახეთ? რა ჰპოვეს საერთო ბოლშევიკებმა, რომელთაც უდიდესი თანასწორობის იდეა წააწერეს თავის დროშას და სოლოლაკელმა ვაჭრებმა და მათმა იდეოლოგებმა, რომელნიც ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ წონანდებურად ველარ თარეშობენ ტფილისში?

სერიოზული შეკამათება ჩვენს მტრებთან და მათი მისწრაფების ნამდვილი სარჩულის გამოაშკარავება სრულიად უნაყოფო იქნებოდა. რა უნდა უთხრათ დენიკინს, რომელსაც მხოლოდ თავისი ხაზინა აგონდება და არა საქართველოსი, რომლის ურიცხვი ქონება გაფლანგა და გააჩანაგა რუსეთმა, ან იმ ვითომდა სოციალისტებს, რომლებიც წინად რუსის მთავრობას ეხმარებოდნენ არა რუსთა დამონების და შევიწროვების საქმეში და დღესაც ამავე მიზნის განხორციელებას ემსახურებიან „დემოკრატიის“ ტყავში გამოხვეულები! ან შეიძლება ანგარიში გაუწიოთ ვარანცოვის ლაქიების მილოვ ალიხანოვ-ხატისოვების სიტყვებს? რამე დაუმტკიცოთ ამისთანა ადამიანებს სიმართლისა და ზნეობის ლოღიკით?

ვერ ვიკისრებდით სწორედ ასეთს უმადურს მოვალეობას. სრულიად საინტერესო არაა, რა ამოძრავებს ჩვენს მტრებს, რა არის მათი გულის ნადები. არც სასურველია სხვის გულში ხელის ფათური და მისი წადილების ჩხრეკა ძიება. დემოკრატიული წყობილება და თავისუფლება ღრმად გვწამს და არ გვინდა ვისიმე რწმენას და სინიდისს ხელი შევახოთ მაგრამ...

მაგრამ ერთს წუთსაც არავინ უნდა იფიქროს ამ თავისუფლების გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოთ! ნურავინ შეეცდება ამაოდ მაღალის სიტყვებით თვალი აგვიხვიოს და ძირი გამოუთხაროს ჩვენი ერის აღდგენის საქმეს. ხელი აიღოს ყველამ, რა ეროვნებას და რა ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდეს, განთავისუფლებული ქართველი ერის ხელ-ახალ დამონებაზე!

აქ არ იქნება არავითარი დათმობა და ლმობიერება და არ არის საშუალება, რომელსაც დაერიდება ხალხი თავისუფლების და ღირსების დასაცავად. საქართველოს რესპუბლიკა უდიდესი სინამდვილეა ჩვენი ერის ისტორიაში, იგი არაა მოჩვენება, მოულოდნელად და უცაბედად წარმოშობილი, შემთხვევით მოვლენილი. იგი განხორციელებაა მთელი მოდგმის მრავალ წელთა და თაობათა სტიქიურ მისწრაფების, თვითარსებაა არა მხოლოდ დღევანდელი ერის, არამედ მთელი მისი წარსულის და მომავალის და კბილებით რომ მოუხდეს ბრძოლა, საქართველო მოპოვებულს თავისუფლებას არავის დაანებებს. არა ერთის და ორის ათასი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი გმირულის თავგამოდებით იბრძოდა თავის ვინაობის შესანარჩუნებლად, არც ამ ას ჩვიდმეტი წლის წინად დაუთმია რუსეთისათვის თავისი დამოუკიდებლობა და დღესაც ისევ მკვიდრად გაუმკლავდება მტრებს, როგორც ყოველთვის.

თუ თავისუფლება ყოველ ერს ეკუთვნის, თუ თავისუფლების მოსაპოვებლად არავითარი საბუთი და მტკიცება არაა საჭირო, მით უფრო ეკუთვნის ეს თავისუფლება ქართველ ხალხს, რომელსაც მისთვის მრავალი მსხვერპლი გაუწირავს, რომლის შვილები ყოველთვის წინ იდგნენ ბრძოლაში ერთა და ადამიანთა განთავისუფლებისათვის...

ყოველივე ეს ავიწყდებათ ჩვენს მტრებს, ან უკეთ ივიწყებენ განზრახ, ვინაიდან ეს არ ეგუება მათ ინტერესებს. მაგრამ შეუწყნარებელია, რომ ხშირად ამას ივიწყებს ჩვენი მთავრობა და თავის სისუსტით და გაუბედავობით ხელს უწყობს იმ აღვირაშვებულ, თავშეუკავებელ აგიტაციას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს დღეს საქართველოს დედა ქალაქში...

ხამ. ფირცხალავა.

ეროვნული და სოციალური

ეროვნული და სოციალური მოძრაობა, ბრძოლა—ის ღერძია, რომელზედაც მუდამ ტრიალებდა კაცობრიობის ცხოვრება. ბერძნები ყველა სხვა ეროვნების ხალხს მაღლიდან დაჰყურებდნენ და „ბარბაროსს“ ეძახდნენ. რომაელებს თავის ტოლად არავინ მიაჩნდათ და სხვებს მოქალაქის სახელს არ აკუთვნებდნენ: არა რომაელს ისინი „პერიგრინუსს“ უწოდებდნენ. ხოლო რამდენი ომი უწარმოებიათ ერებს ერთმანეთის დასამონავებლად ან მეტოქეობის მოსასპობად—ვინ მოსთვლის. კართაგენი უნდა დაინგრეს—ეს ხომ რომაელთა თქმაა!

ბევრსა ჰგონია, ეროვნული მტრობა და შური მხოლოდ კაპიტალისტურ ხანის შედეგია. ამის გასაბათილებლად სულ უბრალო მაგალითი კმარა: მე-17 საუკუნეში საქართველოს ამწერი შარდენი სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე ამბობს: ქართველებს არ უყვართ სომხები და ისე უძულიან, როგორც ჩვენ ევროპაში ებრაელებსო.

მეორეს მხრით არც სოციალური ბრძოლაა ახალი. ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ქრისტეს შობამდე ტიბერიუს გრაკხუსი ეუბნებოდა რომაელ მდიდრებს: დაგვითმეთ რამე თქვენი სიმდიდრიდან, თუ არ გინდათ ყველაფერი წაგართვათ ძალით. ტყის ნადირებს აქვთ სოროები, ხოლო მოქალაქეებს, იტალიისათვის რომ სისხლსა ღვრიან—არა გააჩნიათ რა გარდა იმ ჰაერისა, რომელსაც სუნთქავენო!

მაგრამ განსაზღვრული ჩამოყალიბებული სახე სოციალურმა და ეროვნულმა მოძრაობამ მეცხრამეტე საუკუნეში მიიღო და გრძელდება ამჟამადაც. გასული საუკუნე სავსეა ერთა აჯანყებებით, იგი ერთა განთავისუფლების საუკუნეა. ამასთანავე ერთად იგი საუკუნეა დემოკრატიის და სოციალიზმის ჩამოყალიბების და განვითარებისა. ეს ორი პროცესი ისეა ერთმანეთში გადაწნულ-გადახლართული, რომ არ იცი, რომელს მიაკუთვნო პირველობა.

ჩვენთვის, სოციალისტ-ფედერალისტებისათვის სოციალურის და ეროვნულის განუშორებლობა მუდამ ცხადი იყო. ხოლო როდესაც ვაკვირდებით ევროპაში ამჟამად დატრიალებულ ამბებს—სიმართლე ჩვენის დროშისა უფრო ნათელი ხდება. ჩვენს თვალ-წინ ძალად დამარხული ერები მკვდრეთით სდგებიან და ამასთანავე ერთად ხდება გრანდიოზული ცდა სოციალიზმის პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებისა.

ორი დიდი ფაქტი გვაქვს ხელთ—რევოლიუცია გერმანიის და ავსტრიისა. პირველში სწორედ სოციალური მოძრაობის დამახასიათებელ თვისებებთან გვაქვს საქმე, მეორეში—რომელსაც მეტ სახელად ეროვნულ საკითხის ლაბორატორიას უწოდებდნენ—ეროვნულ კონსოლიდაციის და თავისუფლების განხორციელებას ვხედავთ. რევოლიუცია, რომელსაც სოციალური მომენტი ყოველთვის თან ახლავს—თავისებურ ხასიათს ღებულობს იქ, სადაც დაჩაგრული ერებია. ასე მოხდა რუსეთში, სადაც სოციალურ რეფორმებს მოჰყვა. მრავალი დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულების შექმნა. ასე ხდება ავსტრიაში: მკვდრეთით აღსდგა ჩეხია, რესპუბლიკა გამოაცხადა უნგრეთში, ხოლო გერმანული ავსტრია მშობლიურ გერმანიას უერთდება. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული პროცესი გერმანიის კონსოლიდაციისა ეხლა მთავრდება: უეჭველია გერმანია ამ ცეცხლიდან ეროვნულად გაზრდილი და დაკავშირებული გამოვა. რკინის კანცლერის მიერ დაწყებულ საქმეს დღევანდელი რევოლიუციონერები აგვირგვინებენ. ბისმარკმა განდევნა გერმანიის კავშირიდან ავსტრია, რადგან როგორც იგი ამბობდა: გერმანია ვიწროა იმისათვის, რომ იქ პრუსია და ავსტრია ერთად დაეტიოსო. ეხლა რევოლიუციონურ გერმანიას უერთდება ავსტრიის ის ნაწილი, რომელიც სისხლით და ხორცით ნამდვილად მას ეკუთვნის.

ვიმეორებთ, ცხოვრება ევროპისა თანასწორობის და ეროვნებათა კონსოლიდაციის გზით მიდის. თუ ამაში დისონანსი შეიტანეს მოკავშირეებმა და გერმანიის ტერიტორიის დაპყრობა მოინდომეს—ეს იქნება საფუძველი მომავალი ომნებისა და ბრძოლისათვის. მოკავშირეებმა შეიძლება დღეს მართლაც ჩამოაცალონ გერმანიას რეინის ნაწილი, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამას თავისუფალი გერმანია არასოდეს შეურიგდება და ცეზარის საზღვრებს ვერ დაუბრუნდება. როდესაც გასულ საუკუნის შუა საფრანგეთის შოვინისტებმა დაიწყეს რეინისაკენ ცქერა— ამან დიდი პატრიოტული აღტყინება გამოიწვია გერმანელებში და მრავალი ხალხური ლექსი შექმნა. ერთ მათგანში შოვინისტებს პირდაპირ უპასუხებდნენ: არა, ვერასოდეს მოესწრებით გერმანულ რეინის დაპყრობასო, ხოლო სამოცდაათიან წლებში შექმნილი სიმღერა „გუშაგნი რეინზე“ გაერთიანებულ გერმანიის ჰიმნად გარდაიქცა. ასეთია ძალა ეროვნულის გრძნობისა.

ინგლისის იმპერიალისტები კარებს ჰხურავენ—გერმანული ჭირი, რევოლიუცია არ შემოგვეპაროსო, მთავრობას დაუდგენია არც ერთი გერმანელი არ შეუშვას ინგლისში, მაგრამ განა ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდება? უეჭველია ინგლისის მუშათა კლასი ყრუდ ვერ დარჩება და ბოლოს და ბოლოს თავისას მოითხოვს. ეროვნულ მოძრაობასთან ერთად მძლავრად აგორდა ტალღები სოციალური ბრძოლისა. ჩვენ დიდ პერტურბაციის, ძირითად გარდაქმნის წინაშე ვდგევართ. ამას ეხლავე ანგარიში უნდა გაუწიოს სათანადო გაგებითა და მომავლის გათვალისწინებით დამოუკიდებელმა საქართველომაც.

ქ. რაჭველიშვილი.

ქართული პრესა

„ერთობა“ ეხება იმ თავის ამხანაგებს, რომელნიც წინააღმდეგნი არიან საქართველოს სოციალ-დემოკრატიის დაარსებისა და პროტესტიც განაცხადეს ესენი არიან ისინი, ვინც მათ ყრილობაზე ოპპოზიციას შეადგენდა (სომხები), სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰუმმეტი“ (მაჰმადიანები) ბაქოს მენშევიკების ორგანიზაცია (აიოლლოს მეთაურობით) და „სოციალ-დემოკრატის“ ჯგუფი (რუსები). „ერთობა“ მათი პოზიციის შესახებ ამბობს:

> სამწუხაროთ ჩვენი ამხანაგები ებრძვიან საქართველოს ს. დ. პარტიის დაარსებას იმისთვის, რომ არ სურთ იყოს დამოუკიდებელი საქართველო. არა დემოკრატიულ და არა პროლეტარულ პოლიტიკურ მიზანს უმორჩილებენ მუშათა პარტიის კლასობრივ საკითხებს. კიდევ მეტი იმავე ლტოლვილებას იჩენენ, რომელსაც დენიკინები უფრო მკვახეთ და იარადის ჩხარუნით გვაუწყებს და რომლის იმპერიალისტურ და რეაქციონურ ზრახვაში ეჭვი არავის შესდის.
>
> ჩვენი ამხანაგები ამ ზრახვებს დემოკრატიულ ფრაზეოლოგიაში ხვევენ, მაგრამ განა ეს შესცვლის არსებითათ მათი მისწრაფების ნამდვილ მნიშვნელობას?
>
> მათ რომ მართლა დემოკრატიზმი და მუშათა ინტერესები ქონდეთ სახეში და ამ ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, საქართველოს ს.-დ. ყოველმხრივ მხარს დაუჭერდნენ და გარეშე თუ შინაურ საფრთხისაგან თავის დაცვაში დაეხმარებოდნენ. მაშინ ისინი ამ დემოკრატიის ჭირსა და ლხინს თავის ჭირათ და ლხინათ მიიჩნევდნენ.
>
> და თუ ამას ადგილი არა აქვს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალიზმის მაღალ დროშის ნაცვლად მათ ხელთ აიღეს დროშა რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანების ე. ი. თვითმპყრობელობის ყველა ნამუშევარის რუსეთისათვის შერჩენის, რაიცა თავისთავად ატარებს თავის წიაღში იმპერიალისტურ ტენდენციებს.

ჩვენ ვამბობთ, რომ სამწუხაროთ მხოლოდ ეს გარეშე მიზეზები და საბუთები ალაშქრებს ჩვენს ზოგიერთ პროტესტანტებს საქართველოს სოც.-დემ. წინააღმდეგ თორემ აბა სცადონ და გამოილაშქრონ იმ პრინციპების წინააღმდეგ რომელიც პირდაპირ გაგრძელებაა რუსეთის ს.-დემოკრატიის ტრადიციების. აბა დაგვანახონ, რომელი საკითხის გადაჭრაში ვუღალატეთ, ჩვენ ნაცად გზას და მარქსისტულ მეთოდს.

მათ თვითონაც კარგათ იციან, რომ ამ მხრივ ნაკლზე ვერ გვიკიჟინებენ სწორ გზიდან გადახვევას. და ეს კიდევ ერთი, დაუძლეველი საბუთია იმის, რომ წვრილმანი ინტელიგენტური გულღვარძლიანობა უფრო ამუშავებს მათ კალამს, ვინემ შეგნება თავის სოციალისტურ მოვალეობისა. იმედათ ის გვაქვს, რომ მასსა, დემოკრატია, რომელიც მთავარი სიმაგრე და ხერხემალი იყო ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის, დღესაც მთლიანად დგას ბრძოლის ველზე ჩვენთან და ამ გათიშულ ჯგუფის განაწყენებული გულის მოსაოხათ გამოცხობილ პროტესტებს მხოლოდ იმდენ ყურადღებას აქცევს, რამდენისაც ღირსია უსუსურობა და ულოღიკობა თვით პროტესტისა.

მუშათა კლასის ამ საღ ინსტიკსა და პოლიტიკურ შეგნებაში ვიკრებთ ჩვენ ძალას მომავალ მოქმედებისათვის.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: აჭარისა და ოზურგეთის მაზრათა საზღვრებზე ბაჟები მოიხსნას ყოველგვარ ნაწარმოებზე. ბაჟი დარჩეს მხოლოდ რკინის გზით გასატან და შემოსატან საქონელზე.

—

ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის სამმართველოს 2 მილიონის კრედიტი გაეხსნას მის ხარჯ-აღრიცხვის ანგარიშმა სამმართველოს დაწესებულებათა 1918 წლის ბოლომდე შესანახად, იმ პირობით კი, რომ აღნიშნული კრედიტი იხარჯებოდეს სათანადო დაწესებულ ვადაზე.

—

შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდოს გარდასინჯოს მან საფინანსო და სატელეგრაფო უწყებათა შტატები და იგი რესპუბლიკის ნამდვილ მოთხოვნილებას და მის ბიუჯეტის საერთო მდგომარეობას შეუფარდოს.

—

ფინანსთა მინისტრს მიენდოს წარმოუდგინოს მან მთავრობას შემდეგი სხდომისათვის მოხსენება კანონ-პროექტი პარლამენტისაგან მილიონიან ფონდის შესავსებ ახალ კრედიტის გამოთხოვისათვის

—

ბაქოში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს და ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეს მილიონ ნახევარ მანეთის კრედიტი გახსნას ავანსად, ბაქოდან ნავთის გაგზავნის მოსაწყობად.

უკანასკნელი ცნობები

ბაქო.

ტფილისში მიღებულ ცნობების თანახმად ბაქოში მყოფ ინგლისის ჯარის უფროს გენერალ ტომსონის ბრძანებით ბიჩერახოვის რაზმს იარაღი აჰყარეს რადგან ამ რაზმმა მშვიდობიან მცხოვრებისადმი ძალადობის ხმარება, ძარცვა-გლეჯა და პოგრომების მოხდენა დაიწყო. ცნობაა, რომ ტომსონის ბრძანებით აღნიშნულმა რაზმა ბაქო უნდა დასტოვოსო.

უკრაინაში.

მოკავშირეთა მიახლოვების და გერმანელთა წასვლის შედეგ უკრაინის რეაქციონერებმა თავი წამოყვეს და ძველი რუსეთის აღდგენისათვის დაიწყეს მუშაობა. გეტმანმა სკოროპადსკიმ გამოსცა მიმართვა, რომელშიაც აშკარად მოუწოდებდა რუსეთთან შეერთებისაკენ. უკრაინის მამულიშვილები შეკავშირებულან და როგორც „კავკაზსკოე სლოვო“ გადმოგვცემს შემდეგი მომხდარა: უკრაინაში მთავრობის პოლიტიკის შეცვლის გამო, რომელიც გამოიხატება რუსეთთან შეერთების სურვილით—დამოუკიდებლობის მომხრეებმა გრუშევსკიმ და ვინნიჩენკომ და წინანდელ რადის სხვა მოღვაწეებმა მოაწყეს აჯანყება. მეამბოხეებ, ბოლშევიკებთან ერთად მოქმედებენ. გეტმანი სკოროპადსკი გაიქცა, მაგრამ პოლტავის ახლო დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე გერბელის კაბინეტი. დამოუკიდებლობის მომხრეებმა მცხოვრებთადმი მოწოდება გამოსცეს.

საქართველოს პარლამენტი

12 ნოხ. ს. კრებას ხსნის თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

მდივანი დ. ონიაშვილი ჰკითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტთა სიას და დღის წესრიგს.

ნ. ჩიგოგიძე. (სარედაქციო კომ. წევრი) ჰკითხულობს საბოლოო ტექსტებს: 1. გადასახადთა აკრეფისა, 2. გადასახადთა ინსპექციის შტატის და 3. სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების კანონებისა.

საბოლოო ტექსტები დამტკიცებულია ერთხმად.

მადნეული აბანოები, წყაროები და ტალახები.

მომხსენებელი დ. ონიაშვილი ბატონებო! თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია მადნეული აბანოებით, წყაროებით და ტალახებით, რომელიც დიდ განძს წარმოადგენს საზღვარ-გარედ ეს საქმე მეცნიერულად არის დაყენებული და მის სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩვენი მთავრობაც შეუდგა ამ საქმის მოწესრიგებას და მოვლა პატრონობას და სათანადო კანონპროექტიც იქმნა შემუშავებული კანონ-პროექტის უმთავრესი აზრი და დედა-ძარღვი ის არის, რომ კერძო მფლობელებს უნდა ჩამოერთვას სამკურნალო მადნეული აბანოები წყაროები და ტალახები და მისი მოწესრიგება უნდა მოენდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით მიწათმოქმედების მინისტრს ევალება ამ სიმდიდრის ჩაბარება და გამორკვევა და განსაზღვრა იმ სასყიდლისა, რომელიც უნდა მიეცეს ამ მადნეული წყარო-ტალახების ყოფილ მფლობელებს.

მოხსენების შემდეგ იმართება საზოგადო კამათი კანონ-პროექტის გარშემო. უმთავრესად კამათი სწარმოებს იმ მუხლის გარშემო, რომლის ძალით სამკურნალო მადნეულ აბანოებისა და წყარო-ტალახების მფლობელებს სასყიდელი უნდა მიეცეს. ამ მუხლის წინააღმდეგი არიან სოც.-რევოლიუციონერები და სოც.-ფედერალისტები. სოციალ-დემოკრატია და ეროვნული დემოკრატია ამ საკითხში შეთანხმებულია და იცავს ამ მუხლს.

ლ. შენგელია (ს.-რევ.) კანონ პროექტის მომხრეა, ხოლო არ ეთანხმება იმ მუხლებს, რომელიც ორატორის აზრით სოციალიზმისა და დემოკრატიზმის წინააღმდეგია. შეუძლებელი და შეუწყნარებელია სამკურნალო მადნეული აბანოები, წყაროები და ტალახები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდეს, ე. ი. მოხდეს ამ სიმდიდრის ნაციონალიზაცია. იგი უნდა გამოცხადდეს ხალხის ავლა-დიდებად. ამასთანავე სოციალისტური და დემოკრატიული არ არის ის ზომა, რომელსაც კანონ-პროექტი მომართავს: იგი სასყიდელს აძლევს კერძო მფლობელებს იმ სიმდიდრეში, რომელიც მთელი ხალხის ავლა-დიდებას წარმოადგენს. სამკურნალო აბანოები და წყარო-ტალახები მხოლოდ უსამართლოდ ჰქონდა მიკუთნებული კერძო მფლობელებს და ამ უსამართლობას ეხლა კანონ პროექტი აკანონებს მით, რომ მის მფლობელებს სასყიდელს აძლევს.

თედო ღლონტი (სოც.-ფედ.) ეს კანონ-პროექტი ლოღიკურად დაკავშირებულია ყველა იმ მიწის კანონთან, რომელიც დაამზადა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ეხლავე შევეხოთ ამ კანონის პრინციპიალურ მხარეს, სადაც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ხასიათის სიმდიდრეზე გამოყიდვის პრინციპია დაცული. როგორც აგრარულ კომისიის წევრი, მოვალე ვარ განვაცხადო, რომ ეს კანონი ჩვენ განვიხილეთ 21 ივნისს და ჩვენ მოგვემხრენ სოციალ-დემოკრატები და მინისტრის პროექტი უარვყავით. სამწუხაროდ შემდეგ მოხდა დისციპლინალური დასჯა ურჩ ს.-დემოკრატების, კომისიაში კვლავ დააბრუნეს კანონი და მეორე ჯერ კი ყველა ს.-დემ. აგვიმხედრდა და გაათეთრეს მინისტრის კან.-პროექტი.

როგორც ხედავთ, თავისუფალ მსჯელობის დროს კომისიაში, სადაც სოც-დემოკრატები უმრავლესობდნენ ჩვენ გავიმარჯვეთ. ეხლაც გთხოვთ ეს კანონი მიიღოთ არა თითების მიხედვით, არამედ გონების და ლოღიკის გავლენით.

ბატონებო, ჯერ ჩვენი სოფლისათვის არაფერი გაგვიკეთებია, არ მიგვიცია მიწის მუშისათვის მიწა-ადგილი და არ გინდათ მისცეთ სამკურნალო წყლებიც და ტალახებიც. ძალიან დამახასიათებელია, რომ საქართველოში ყველა ქალაქში წესიერება იყო. ხოლო სოფლად —გარდა ერთი მაზრისა—ყველგან იყო აჯანყება ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ქალაქის მუშებმა რევოლიუციით საკმაოდ ისარგებლეს მუშის მიღება-დათხოვნა მუშას ეხება, კანტროლის უფლება, რვა საათის სამუშაო დრო, მაღალი ხელფასი, სხვა პოლიტიკური უფლება, ხოლო მიწის მუშამ რა მიიღო?—სრულიად არაფერი. ჩვენი კოოპერატივები და სასურსათო საბჭოები ყოვლად უბადრუკნი შეიქნენ, პოლიტიკურ უფლებებს ესოდენ მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო ქონებრივად მიწის მუშას დღემდე არა მიუღიარა. აი ამ ობიექტიურ მდგომარეობაში მარხია სოფლის უკმაყოფილება, სადაც საოცარი ინდიფერენტიზმი, აბსენტეიზმი და ბოიკოტია დამკვიდრებული. სოფლელთა ეს პასიობა ჩვენი დამოუკიდებლობის უმთავრესი საფრთხეა და ჩვენ მოვითხოვთ მიწის მუშები დავაკმაყოფილოთ ფართოთ, რომ დავარწმუნოთ ისინი, რომ საქართველოს რესპუბლიკა მართლა სავანე ხალხის ინტერესებისა.

ბატონებო, სამკურნალო წყლების მეპატრონენი არიან უმთავრესად ქართველი თავადები და სამი მეოთხედი თათრის და სომხის ჩარჩები. არსენიძეები ხშირად იძახოდნენ სოფლად, რომ სოც.-ფედერალისტები იცავენ თავად-აზნაურობის ინტერესებს, აი ეხლა სიტყვა საქმის წინ სდგის და ჩვენ კანონის მიღების წინ გეუბნებით, რომ თავადებს კაპეიკი არ მივსცეთ წყლებსა და ტალახებში. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ სიმდიდრის გამოსასყიდად ჩვენმა ხაზინამ უნდა გაიღოს რამდენიმე მილიონი, როცა სოფლის მასწავლებლები და მუშები ჯამაგირს ვერ ღებულობენ ამავე დროს ქალაქები მეტად დავალიანებული არის და ჩვენ რომ ესოდენი ფული მივცეთ რამდენიმე ათეულ თავადებს და ჩარჩებს, შევძლებთ თუ არა იმ დანაპირების შესრულებას, რასაც ვაძლევდით ნაძალადევის მუშებს. ნუ თუ სასახლეში უნდა დაგვავიწყდეს პროგრამის ყველა მუხლი და არ განვახორციელოთ ის რისი განხორციელება შესაძლოდ სცნო თანამედროვეკაპიტალისტურ ცხოვრების პირობებში და სავალდებულოდ ყველა სოციალისტებისათვის 1900 წლის საერთაშორისო სოციალურმა კონგრესმა.

ბატონებო, მესამოცდაათე წლებში სამკურნალო წყლები გამოიკვლია შესანიშნავმა გეოლოგმა აბიხმა და მაშინვე საჭიროდ სცნეს ამ დარგის მუნიციპალიზაცია. ასე იქცეოდა თვითმპყრობელობა და თქვენ რას შვრებით მეტს? უკვე ოცი წელია, რაც ქალაქის კომისია მუშაობს ამ საქმისათვის და თქვენ, როცა სოციალიზმის დროშა გიჭირავთ, სულ უბრალო რეფორმას ვერ ახდენთ, რომ დაუვალიანებლად ეს სიმდიდრე ხალხს მისცეთ უსასყიდლოდ. ბატონებო, მირზოევებმა ათასჯერ აიღეს ხალხის ზურგიდან აბანოების ღირებულება, ნუ თუ ეხლა კიდევ გინდათ ისინი დაასაჩუქროთ? აგრარულ კომისიაში ნინიძე გვეუბნებოდა, რომ კაპიტალიზმს არ ვსპობთ ეხლავე,—მაგრამ სადაა აბანოებში კაპიტალიზმი? ჩვენ მოვითხოვთ ამ სიმდიდრის ხალხისათვის უფასოდ გადაცემას

პოლიტიკურის თვალსაზრისითაც შეგვიძლიან ამ საქმის უმტკივნეულოდ შესრულება. პაწია ჯგუფი თავადებისა და ჩარჩებისა ყოველგვარ ძალას მოკლებულნი არიან და ამათ ხელში მოქცეულ ხალხის სიმდიდრის ხალხისავე ხელში გადასვლა დააწყნარებს დემოკრატიას და სოფელი მჭიდროდ დაუკავშირდება საქართველოს რესპუბლიკას.

რ. გაბაშვილი (დამოუკიდებელი ნაციონალ დ.) ეხება აგრარულ რეფორმას და აღნიშნავს უსამართლობას, რომელსაც სჩადიან სოციალ-დემოკრატები მემამულეების მიმართ. იქ, სადაც მემამულემ შექმნა კულტურა თავისი ძალღონით გააშენა მამული, მოუარა მას და გაამშვენიერა, სოციალისტები ყაჩაღურად ექცევიან, ყაჩაღურად ართმევენ მემამულეს მის მამულს. ხოლო როდესაც აბანოებზე მიმდგარი საქმე, რომელიც მთელი სახელმწიფოს საკუთრება, ბუნების შექმნილია, აქ სოციალისტებს უნდათ სასყიდელი მისცენ მფლობელს. არავითარი ლოღიკა არ არის აქ. ორატორი ამას მთლად აღნიშნავს, თუმც მისი წინააღმდეგი არ არის. ორატორი წინააღმდეგია იმისა, რომ ამ სიმდიდრის მოვლა-პატრონობა მიენდოს მიწადმოქმედების მინისტრს, რომელსაც ამისათვის, და საზოგადოდაც, არავითარი უნარი არა აქვს. აქ გაბაშვილი იმეორებს მიწად-მოქმედების სამინისტროს შესახებ იმას, რაც არა ერთხელ უთქვამს პარლამენტის ტრიბუნიდან.

შემდეგ ლაპარაკობენ **რ. არსენიძე** (ს.-დ.), **მ. მაჩაბელი** (დამოუკიდებელი ნ.-დ.) და მიწადმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი**, რომლის ანგარიში ხვალინდელ ნომერში იქნება მოყვანილი.

კამათი ისპობა და იწყება მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა. კანონ-პროექტი მიღებულია მცირეოდენის შესწორებებით და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

ზავის გარშემო

გერმანელი ტყვეები და ფრანგები.

დროებითი ზავის ხელშეკრულობაში აღნიშნული იყო, რომ თუ გერმანიის ჯარი დანიშნულ ვადაზე არ დასცლიდა საფრანგეთის და ბელგიის ადგილებს, ტყვედ ჩაითვლებოდა მე-11 მუხლის თანახმად იმ დაჭრილებზე და ავადმყოფებზე, რომლებსაც არ შეუძლიანთ მოგზაურობა. გერმანიის სანიტარულმა რაზმმა უნდა იზრუნოს. ჯარი, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება და უკან დარჩება, სამხედრო ტყვეებათ ჩაითვლება ავათმყოფნი და დაჭრილნი, რომლებსაც არ შეუძლიანთ მოგზაურობა, ტყვეთ არ უნდა იქნენ წაყვანილი. საფრანგეთი ამ ჟამად მოითხოვს, რომ ყველა დაჭრილი და ავადმყოფი, რომელიც უკან დარჩა, ჩაითვალოს სამხედრო ტყვედ. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება არა მარტო დროებითი ზავის პირობებს, არამედ ყველა იმ პირობას ამ საკითხზე, რომელიც ომის დროსაც იყო. საფრანგეთის მოთხოვნილება მეტად მკაცრია და ყოველგვარ ადამიანობას მოკლებული. მთელი გერმანია პროტესტს და გულისწყრომას აცხადებს ამის გამო. გერმანიის ხალხი მიმართავს ნეიტრალურ სახელმწიფოთა და მთელი კაცობრიობის სინიდისს.

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი. 26 ნოემ. ც. ა, კ. ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი. (დასაწყისი დამახინჯებულია)- ნაუენი, 26 ნოემ. უმაღლეს სარდლობასთან არსებულ აღმასრულებელ კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, სადაც პროტესტს აცხადებს ფრონტიდან დაბრუნებულ რაზმელების იარაღის აყრაზე. აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს პოლონეთის იმპერიალიზმის შესაძლებელ საფრთხეს და პროტესტს აცხადებს პოლონეთის მიერ გერმანიის ტერიტორიის ძალით შემოერთებაზე. ინგლისის ჯარი რეინზე წინ მიიწევს. საფრანგეთის ჯარი სტრასბურგში შევიდა. ლიონი, 25 ნოემ. ავსტრიის რუმინელებისგან შემდგარმა ჯარმა მთელი ბუკოვინა დაიჭირა. მცხოვრებნი აღელვებულნი არიან. უკრაინაში მღელვარება ფართო ხასიათს იღებს. ჩრდილო და სამხრეთ უკრაინაში აჯანყებაა. კიევის ახლო გამოჩნდა აჯანყებულთა რაზმი 8000 კაცისაგან შემდგარი. აჯანყებულებმა ყველგან აღადგინეს საბჭოები. უკრაინის ცენტრში სკოროპადსკის წინააღმდეგ გამოვიდა პეტლიურა. რომელიც გაიდამაკელი ხელმძღვანელობს.

მოსკოვი. 26 ნოემბ. პეტლიურამ დაიჭირა ეკატერინოსლავი და ლიზოვაია. პოლტავის დასაჭერათ ბრძოლა სწარმოებს, სკოროპადსკის დასახმარებლად კრასნოვის რაზმი მოდის. უნეჩუა. 25 ნოემბ. საბჭოთა ჯარმა სტაროდუბი დაიჭირა. ბურჟუაზია გაიქცა. მუშები ჯარის წითელი დროშებით შეეგება.

კურსკი. 26 ნოემბ. ხარკოვში შესდგა კომისია, რომელმაც უნდა მოიწვიოს ხარკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. ქარხნებში იმართება მიტინგები და საბჭოს არჩევნები დაიწყო, მუშათა საოლქო კომიტეტმა მოიწვია სრულიად უკრაინის მუშათა ყრილობა განიხილავს მთავრობის ორგანიზაციის, რუსეთთან შეერთების და პროლეტარიატის ორგანიზაციის საკითხსა. (გამოტოვებული და დამახინჯებულია) . . . . .სკოროპადსკის ხელში იყო. მის უმთავრეს ძალას აფიცერთა რაზმები შეადგენენ. კიევში გაფიცვებია. დაასაფლავეს ამას წინად დახვრეტილი მუშები და სტუდენტები. ლუგანსკის მუშები ბოლშევიკურ ხასიათის დემონსტრაციებს ახდენენ. კრასნოვის რაზმმა ტყვიისმფრქვეველნი დასდგა სახლის თავებზე გამოცხადებულია საალყო წესები. ქალაქში ჩხრეკაა. მრავალი დახვრიტეს. ლუგანსკში 29 ნოემბერს საერთო გაფიცვა მოხდა. პრაკოევი 22/11. მუშათა კომიტეტი იუწყება, რომ ძალაუფლება პეტლიურას ძველ საბჭოს ხელშია. პოლიციელთ იარაღი აყარეს. პეტლიურას ჯარის შემოსვლამდე ოფიცერთა მოხალისე რაზმმა როსტოვისკენ დაიხია. მოსკოვი, 25 ნოემბერი. იასში 9 გენერლის მიერ დაარსებულ ჯგუფს მიზნად აქვს რუსეთის აღდგენა და გაერთიანება. უზულუკი 25 ნოემბერი, ყაზახებსა და ბოლშევიკებს შორის უთანხმოებაა. ბაშკირები უარს აცხადებენ წითელ არმიის წინააღმდეგ

ბრძოლაზე. ამ ნიადაგზე მოხდა უთანხმოება, რომელიც სროლით დასრულდა. ამ მდგომარეობით ისარგებლა ჩვენმა ჯარმა და (დამგზინჯებულია) ყაზახებმა და ბაშკირებმა დაჰკარგეს 900 კაცი. სამარა 23—11 უფის ორგანიზაციამ გამოიტანა რეზოლიუცია სადაც ნათქვამია, რომ ესერების ცდამ ჯარის და მარესით აღედგინათ დამფუძნებელი კრება, უნაყოფოთ ჩაიარა და შავრაზმელებისა და ბურჟუაზიული ელემენტების დიქტატურამდე მიგვიყვანა (?), ამიტომ უზულუკის ორგანიზაცია მხარს დაუჭერს საბჭოთა მთავრობას იმდენათ, რამდენათ საბჭოს მოქმედება შეთანხმებული იქნება მშრომელთა ინტერესებთან.

რევოლიუცია გერმანიაში

ბოლშევიკების წინააღმდეგ.

გერმანული პრესა 25 ნოემბრის ცნობაა, რომ გერმანიის სხვა და სხვა ადგილას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დემონსტრაციები გაიმართა. საბჭოთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს, რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება და რომ მთავრობა არ უნდა დაემორჩილოს ერთი ჯგუფის დიქტატურას, ან რომელიმე ქალაქის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს. კენისბერგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მოუწოდებს მცხოვრებთ. მოწოდება მიმართავს მუშებს და ჯარის-კაცთ და ამბობს: „ძალა კი არ უნდა იყვეს ჩვენი მმართველი. მით უმეტეს პოლიტიკურ უმცირესობის ძალა, არამედ უფლება. თქვენი სალვთო მოვალეობაა განახორციელოთ ეს უფლება. ნუ დაუშვებთ მას, რომ პოლიტიკურ თხუნველებს შეძლება მიეცეს გამოთხაროს ნიადაგი, რომელსაც ეყრდობა თქვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ამ ხალხს ჩვენ თამამად შეგვიძლია უწოდოთ ანარქისტები და ბოლშევიკები. თუ ვინ არიან ბოლშევიკები, თქვენ შეგიძლიათ ნათლად დაინახოთ თუ გადახედავთ რუსეთის უბედურ ძმებს. დაგვეხმარეთ ნიღაბი ავხადოთ ამ მატყუარებს და უძლურ ვყოთ ისინი.

დასავლეთის ფრონტზე მეოთხე არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავის კატეგორიულ რეზოლიუციაში იმგვარივე აზრი გამოსთქვა, რაც ბადენის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც თავის წრიდან გამოყო და შეადგინა ბადენის საგერცოგოს პარლამენტი იმის შემდეგ, რაც გერცოგ ფრიდრიხ მეორემ ტახტის მემკვიდრე პრინც მაქსის თანხმობით, უარი განაცხადა თავის და შთამომავლობის მხრით სახელმწიფოს მართვის უფლებაზე.

გერმანია და რუსეთი.

ბერლინში რუსეთის ტელეგრაფის ბიუროს 13 ნოემბრის განმარტების გამო რუსეთის საელჩოს წასვლის შესახებ ოფიციალურად იუწყებიან, რომ რუსეთის განცხადება, თითქოს შიკრიკს არ ჰქონია პროკლამაციები და ეს მხოლოდ პროვაკაციაა, დამტკიცებულ ფაქტის გამო, ყოველ კრიტიკას მოკლებულია. თვით რუსეთის ელჩმა იოფემ, როცა დ-რ სოლფმა წარუდგინა მას ფაქტები, ველარ უარჰყო გერმანიაში პროკლამაციების შემოტანის ფაქტი იოფემ, ისე როგორც რუსეთის მთავრობამ, არა ერთხელ განაცხადა, რომ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობის მეორე მუხლი, რომელიც უკრძალავს მათ გერმანიაში პროპაგანდის გაწევას, მის მიერ ყოველთვის დაცული იყო. ამ რამოდენიმე დღის წინად კი რადეკმა ტელეგრაფის საშვალებით შემდეგი სიტყვებით მიმართა გერმანიის ხალხს: „როგორც იცით ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობის მეორე მუხლი არ გვიკრძალავდა ჩვენ რევოლიუციონურ პროპაგანდის გაწევას გერმანელებს შორის."

მიუხედავად იმისა, რომ იოფეს გამომგზავრება დაჩქარებით მოხდა რუსეთის იმავე ტელეგრაფის ბიუროს ცნობით, იოფეს როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, სათანადო პატივი სცეს რუსეთში კი ჩვენი გენერალური საელჩო დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს საელჩოს არქივს და ბაგაჟს კონფისკაცია უყვეს და გაჩხრიკეს.

ახალი ამბავი

◆ **გადასახლება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 3 დღის განმავლობაში უნდა გაგზავნილ იქმნეს: 1) ექიმი კიკალიშვილი—ქ. ოზურგეთში მილიციის ზედამხედველობის ქვეშ. 2) მიხეილ ცხაკაია—რესპუბლიკის საზღვრებიდან, 3) ოფიცერი ა. თოფურიძე ტფ. საგენერალ-გუბერნატოროდან პაგონების აყრით, 4) ფანიაშვილი—საგენერალ-გუბერნატოროდან, 5) არშაკ აკობჯოვი--რესპუბლიკის საზღვრებიდან, 6) ნაზარევიჩი—მიხეილ სერგეის ძე—საგენერალ-გუბერნატოროდან თუ იგი საქართველოს ქვეშევრდომი არ არის, 7) სტეფან ალავერდოვი—რესპუბლის საზღვრებიდან და 8) ისაი სოსიანცი ციხეში დაპატიმრებით.

◆ **სავალდებულო დადგენილება** გამოიცა ახალი სავალდებულო დადგენილება იმ პირთა შესახებ, რომელთა არავითარი ხელობა არა აქვთ განსაზღვრული და საქართველოს ქვეშევრდომები არ არიან.

◆ **სახალხო წარმოდგენა,** ხუთშაბათს, ნოემბრის 28 სახალხო სახლში ქართ. წარმოდ. მმართველი „წრის" მიერ წარმოდგენილი იქნება „სოფლის გმირები" გადმოკეთებული ვ. (რეთელის მიერ ე. ნინოშვილის მოთხრობიდან. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

◆ **კონცერტი დემოკრატიულ კლუბში** მუშტაიდში შაბათს ნოემბრის 30-ს ალ. მაისურაძის ქართულ გუნდი გამართავს კონცერტს სამ განყოფილებად ლ. ჯანდიერის მონაწილეობით, დაწვრილებით პროგრამებში, ბილეთები იყიდება ყოველ-დღე საღამოს 5—8-მდე.

◆ **მილიციონერთა მოთხოვნილება.** ტფილისის მილიციონერთა პროფესიონალურმა კავშირმა ქალაქის გამგეობას წარუდგინეს მოთხოვნილება, სადაც ისინი ჯამაგირების მომატებას მოითხოვენ: ამ მოთხოვნილებით უფროს მილიციონერს უნდა დაენიშნოს თვეში 600 მან. ხოლო უმცროსს 520 მ. გარდა „პურის ფულის" მომატებისა„.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** ქალაქის გამგეობამ სახელმწიფო თეატრი გაანთავისუფლა საქალაქო გადასახადისაგან.

◆ **ჯამაგირები.** ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა თავის მოსამსახურეებისათვის სექტემბრის ჯამაგირების დარიგებას.

◆ **ტურგენევის სტიპენდია.** ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა რუსეთის გამოჩენილ მწერლის ტურგენევის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად დააწესა ორი სტიპენდია თითო 150 მანეთიანი. ტურგენევის სახელობისა.

◆ **გუმბრის დაცლა.** გუმბრიდან ჩამოსულთა სიტყვით, ნოემბრის 22-დან ოსმალებმა დაიწყეს გუმბრის დაცლა. ნოემბრის 24-ს ქალაქში ოსმალთა ჯარი აღარ ყოფილა. გუმბრში ოსმალთა მმართველობა დარჩა.

◆ **ნავთი.** სასურსათო კომიტეტმა ბაქოდან ოთხი ცისტერნი ნავთი მიიღო. ნავთი ამ დღეებში დაურიგდებათ მცხოვრებთ გირვანქა ოთხ აბაზად.

◆ **დანიშვნა.** დამფუძნებელ კრების მომწყობ კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის წევრი ლომთათიძე დაინიშნა.

◆ **ლატარია.** ნომბრის 25-ს ქალთა კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს, დეკემბრის 8-ს მოეწყოს მთელ საქართველოში ქართული ლატარიის დღე, რისთვისაც პროვინციებში გაიგზავნონ სათანადო პირნი სალატარიო ორგანიზაციათა მოსაწყობად.

— ლატარიის მთავარმა გამგეობამ ყველა აგენტებს მოწერილობა დაუგზავნა, რათა მათ დეკემბრის 15-მდე გაასწორონ ლატარიის ანგარიშები.

◆ **ლექციები.** დღეს, ნოემბრის 28-ს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: ვ. ბაქრაძისა „სახელმწიფოს უფლება", ინჟ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლის ძალა".

◆ **ხოლერა.** ხოლერა ტფილისში თითქმის მოისპო. ამ ჟამად ქალაქის საავადმყოფოში მხოლოდ 2 ხოლერიანი წევს.

◆ **გაძარცვა.** ნოემბრის 27-ს ღამე გრიბოედოვის ქუჩაზე ოთხი შეიარაღებული პირი დაუხვდა ნაფიც ვექილს კულულავას და მილიციონერთა სახელით, ვითომდა იარაღის ასაყრელად გაჩხრიკეს. ჩხრეკის დროს წაართვეს: ოქროს საათი და საფულე, 1000 მანეთი ფულად.

სოფლად და ქალაქად

დ. ხაშური.

◆ მკითხველ საზოგადოებას ეხსომება აგვისტოს 26 საზიზღარად მოკვლა ტრ. ჯაფარიძისა ქ. ხაშურის კომისარიატში. აგერ მესამე თვე მიდის და არავითარ ენერგიულ ზომების მიღებას დაინტერესებული საზოგადოება ვერ ხედავს; მკვლელი ბუხრუკიძე თავისუფლად დასეირნობს და ხანდის-ხან ხაშურ შიდაც მობრძანდება სოლმე, იმ იმედით, რომ ადგილობრივი მთავრობა ხელსაც არ ახლებს.

სურამ-ხაშურის გამომძიებელი უძლურია, რომ საქმეს წესიერი მსვლელობა მისცეს, რადგან თვე ნახევარია იბარებს დასაკითხავათ შტაბის უფროს (იმავე დროს გიმნაზიის ზედამხედველს) ბ. ნ. სიხარულიძეს და სხვა თანამდებობის პირებს, მაგრამ არც ერთი გამომძიებელს არ ეკარება.

საჭიროა მთავრობამ და იუსტაციის სამინისტრომ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რადგან განსვენებული ჯაფარიძე, საზოგადოებისათვის გამოსადეგი და სასარგებლო კაცი—სრულიად უდანაშაულოდ იქმნა წუთისოფელს გამოსალმებული.

ხოზ. ახალ-აბასთუმანი.

◆ (ზუგდიდის მაზრა). ნოემბრის 5-ს ღამით მღ. ვარლამ ხვიტიას ოჯახს დაეცნენ ბოროტ-გამზრახველები თვითონ მღვდელი და მისი ავადმყოფი ვაჟიშვილი გარედ გამოიყვანეს, თვითონ კი სახლში შევიდნენ. ნივთები და ტანისამოსები, ღირებული 7000 მანეთად და ნაღდი ფული 971 მანეთი გაიტაცეს. ადგილობრივი ადმინისტრაცია ღებულობს ყოველივე ზომებს ბოროტ-განმზრახველების აღმოსაჩენად.

თურქული პრესა

ტფილისის თურქულ გაზეთ „გელეჯემში" შემდეგი მეთაური არის მოთავსებული:

ყველას კარგად მოეხსენება რომ ადერბეიჯანის მთავრობა, ოსმალეთის მთავარ სარდლის შემწეობით კარგად ძლიერი იყო ამ მთავრობის შედგენაში სოციალისტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

მთავრობის შედგენის დროს საფუძვლად იყო მიღებული, რომ ექვსი თვის შემდეგ მოხდებოდა ახალი არჩევნები და სახელმწიფოს მართვა გამგეობა გადავიდოდა სალხის მიერ ამორჩეული ჭეშმარიტი რწმუნებულების ხელში.

ექვსი თვე გავიდა, და ამ ექვსი თვის განმავლობაში ხალხისათვის მთავრობას არაფერი გაუკეთებია და არავითარი პროგრესიული ნაბიჯი არ გადაუდგამს. მთავრობა მხოლოდ, თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ შურის ძიებაში იყო გართული.

მართალია ოსმალეთის ჯარი ამ მთავრობის დიდი დასაყრდნობი ძალა იყო, მაგრამ ხალხის მიერ უკმაყოფილების გამოცხადება მაინც შიშს ჰგვრიდა მთავრობას, რადგან მხვნელ-მთესველნი და მუშები იტყოდნენ: ჩვენცა ვართო და აქ რაღა უნდა ეთქვა ოსმალეთის ჯარს?!

ჭეშმარიტად ვერაფერს იტყოდა.

ეს გარემოება შეიგნო მთავრობამ, და ისიც კარგად გაიგო, რომ გერმანია-ოსმალეთის პოლიტიკა ჩვეულებრივად ვერ წარმოებს და ამისათვის საჭირო გახდა, ადერბეიჯანის მთავრობაც ყოფილიყო კანონიერი, და საჩქაროდაც ბაქოში მოიწვიეს ძველი საბჭოს წევრები.

მოწვეული საბჭოს წევრების უმრავლესობა ძველი მოხელენი არიან. ესენი შეიკრიბნენ, კრების თავმჯდომარე მემედ-ედინ რესულზადემ ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ ამისა ახალი მთავრობის შედგენის საკითხი დაისვა.

აქ კრება კი, სულერთიანად კომედიად გადაიქცა. ბლოკმა, რომლის შემადგენლობაც თავის თავს სოციალისტებად სთვლიდა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, განაცხადა ჩვენ ამ საქმეში არ ვერევითო. და მთავრობის შედგენაც ძველი მთავრობის მოხელეებს და მათი მომხრეების ხელში დარჩა. და ამ წრეთაგან ბატონმა როსტომბეგმა კიდევაც განაცხადა, რაკი მდგომარეობა მეტად რთულია, ისევ ძველი მთავრობა იქმნას დამტკიცებულიო.

თქმა არ უნდა!..

ბატონი როსტომბეგოვი მინისტრის თანაშემწე იყო.

დიახ! ხელით ხელი მოიბანება და ორივეთი კი—პირიო.

ვნახოთ, მომავალი რას გვეტყვის.

სამინისტროებში

გამომძიებელთა კამერების რევიზია.

იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა წინადადება მისცა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ იქ, სადაც ძველ გამომძიებელს ჯერ არ დაუსრულებიათ საქმეების გადაცემა ახლად დანიშნულებისათვის. დაუყონებლივ იქმნას მიღებული მუშები საქმეების ჩაბარების დასამთავრებლად და აგრეთვე გამომძიებელთა საქმეების საერთო რევიზია.

ცხინვალის რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები

რადგან გამოირკვა, რომ ოლქის სასამართლოს პროკურორს ჯერ არ ჩაუბარებია ყოფილ ცხინვალის რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები. მას წინადადება მიეცა დაუყონებლივ ჩაიბაროს როგორც ცხინვალის, ისე სხვა რევოლიუციონურ ტრიბუნალების საქმეების ჩაბარება, სადაც უკანასკნელი არ დასრულებულა.

იურიდიული ტერმინები.

იუსტიციის სამინისტროს ტერმინოლოგიურმა კომისიამ დაასრულა მუშაობა და გასცა შემუშავებული მასალა იუსტიციის მინისტრს უკანასკნელის განკარგულებით. შემუშავებული ტერმინები დაბეჭდვამდე გადაეცემა პარლამენტის იურიდიულ კომისიას ზოგიერთ უკვე მიღებულ ტერმინებთან შესათანხმებლად.

საბიუჯეტო ცნობები.

მთავრობის დადგენილებით, ყველა მაშინისტებმა უნდა წარუდგინონ მთავრობას 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა ნოემბრის 26-მდე, ამისდაკვალად იუსტიციის მინისტრმა დაავალა ყველა მის ხელქვეით დაწესებულებათ სათანადო ცნობების წარმოდგენა არა უგვიანეს ნოემბრის 24 ისა. შეკითხვაზე ჯერჯერობით მიღებულია მხოლოდ სოხუმის ოლქის თავმჯდომარის პასუხი და აგრეთვე გამოგზავნილია ცნობები ქუთაისის ოლქის სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა ჰგულისხმობს (მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გამოკლებით) 67712 მან. შემოსავალს და 413112 მანეთის ხარჯებს.

გზათა სამინისტრო რკინის გზის არტელი.

მთავარ კასაში დროებით ფულის აპერაციის მწარმოებელ ჯგუფმა შემდეგი განცხადება წარუდგინა გზათა საერთო საქმის უფროსს: „დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ყოფილ მთავარი რკინის გზის კომიტეტმა სცნო საჭიროდ როგორც არა საიმედო პირნი ყოფილი იაროსლავის არტელი გადაეყენებინა და მათ ნაცვლად მოვალეობის ასასრულებლად. ჩვენ მოგვიწვიეს რკინის გზის სხვა და სხვა დარგის მოხელენი ამ მოწოდებას ჩვენ შევხვდით გულწრფელად და დღემდე ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას პირნათლად რაც დაგვევალა ჩვენ ისტორიულმა მოვალეობამ და გვაქვს მასთანავე სურვილი დავრჩე შემდეგშიაც ამავე თანამდებობაზე, როგორც მთავარ კასაში, ისე ლიანდაგზე, თუ საჭიროდ და სასარგებლოდა სცნობთ". ეს განცხადება გაეგზავნა რკინის გზის უფროსს აზრის გამოსათქმელად.

უფასო ბილეთები.

რკინის გზის უფროსმა ინჟ. კანდელაკმა განმარტება მისცა გზის ლიანდაგის უფროსთა სახელზე, რომ სეზონის ბილეთები და ბილეთი—სურათით უნდა ეძლეოდეს მხოლოდ თვით მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს სახელდობრ: მეუღლეს, დედას, შვილებს და მცირე-წლოვანთა 14 წლამდე, ძიძას. რაც შეეხება სასურსათო ბილეთებს, ეს ბილეთები შეიძლება მიეცეთ აგრეთვე მოსამსახურეებსაც, ხოლო მოწმობის წარდგენით, რომ ეს პირი მასთან მსახურებს მიუხედავად ნათესაურ დამოკიდებულებისა.

ლიკვიდაცია.

გზათა მინისტრის ბრძანებით მოხდა ლიკვიდაცია გზათა სამინისტროს სალიკვიდაციო ნაწილისა და მთელი შტატი ნოემბრის 26-დან დათხოვნილ იქმნა, მათ სალიკვიდაციო დახმარება უნდა მიეცეთ თანახმად 1918 წლის ივლისის 5-ს კანონისა.

მინისტრის ცირკულიარი

სახალხო განათლების მინისტრმა ყველა სასწავლებლებს ახალი ცირკულიარი დაუგზავნა, რომლის ძალითაც სასწავლებლების ყველა იმ მოხელეს, რომელსაც რაიმე პრივილეგია ეძლეოდა. სამსახურის გამო, მოესპოს და უფლებრივად გაუთანასწორდეს თავის თანამოსამსახურეს.

სომხური პრესა

დაშნაკცაკანების ცნობილ ოფიციოზი „ჰორიზონი" აშკარა პროვოკაციზმსა და საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დაიხურა მთავრობის განკარგულებით. მის ნაცვლად ჩვენს წინაშე დაშნაკელებმა გაშალეს „ნორ ჰორიზონი" (ახალი ჰორიზონი) რომელსაც ძველთან შედარებით არაფერი ახალი არ ახასიათებს გარდა სიტყვისა „ახალი" („ნორ"). რომელიც წინიდან მიუკერებიათ გაზეთის ძველი სახელისათვის: იგივე მიმართულება, იგივე მტრული განწყობილება საქართველოს რესპუბლიკისადმი.

ფრიად დამახასიათებელია ამ მხრით გაზეთის შეხედულება იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარტიის მე-8-ე საოლქო ყრილობაზე—ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მონახეს ნამდვილი თავისი ადგილი და სახელი და თავი საქართველოს სოციალ დემ. პარტიად გამოაცხადეს.

ეს მოვლენა „ნორ ჰორიზონს" დიდ ცოდვად მიაჩნია, მასში ის ხედავს ქართველი სოციალ დემოკრატების შოვინისტობის დამამტკიცებელ ერთ ზედმეტ საბუთს.

ამის გამო ფრიად საყურადღებო შენიშვნაა მოთავსებული „ჟოღოვურდი ძაინის" № 68 პრესაში.

„ნორ ჰორიზონ"-მაო, სწერს გაზეთი, განაახლა სპეციფიური დაშნაკცაკანური კრიტიკა ქართველ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.

მენშევიკებმა თავისი თავი „საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიად" გამოაცხადეს, ე. ი. ჩაიდინეს დაახლოვებით იგივე, რაც სომხის „სოციალისტებმა (ბრჭყალები „ჟოღოვურდი ძაინისა") გაცილებით უფრო ადრე ჩაიდინეს, როცა ეროვნულად დაირაზმენ დაშნაქცუთუნის დროშის ქვეშ. მოსალოდნელი იყო რომ დაშნაქცუთუნი მიესალმებოდა იმ მოვლენას რომ ქართველებიც მიჰყვნენ მის მაგალითს და თანდათანობით გააეროვნეს თავისი ორგანიზაცია.

მაგრამ არა, ჩვენი „სოციალისტები" სარგებლობენ ამ შემთხვევით რომ კვლავ დაამტკიცონ ვითომ ამით ქართველ სოციალ დემოკრატების შოვინიზმი მჟღავნდებოდეს.

როცა რომ დაშნაკცაკანები ირაზმებიან ეროვნულად, ეს ბუნებრივ მოვლენად ითვლება, ხოლო როცა ასევე იქცევიან ქართველები, სომხის სოციალისტად ხმობილი დაშნაკცაკანები მეხს ატეხენ მათ თავზე ამის გულისათვის"..

დაშნაკელების მეორე ორგანო „აშხატავორი" № 189 მთელ მეთაურს უძღვნის იმავ საკითხს და ქართველი სოციალ დემოკრატების ნაბიჯი სწორ ნაბიჯად მიაჩნია. აი როგორ ასაბუთებს გაზეთი თავის აზრს: ჩვენ თავიდანვე ეროვნულ-სოციალისტურ თვალსაზრისზე ვიდექით, ინტერნაციონალი გვესმოდა და გვესმის, როგორც კავშირი ეროვნულად დარაზმულ სოციალისტურ პარტიებისა:

„ყველა, სახელით ინტერნაციონალური პარტია ფაქტიურად როგორც ფორმით ისე შემადგენლობით ეროვნული (არი „სოციალისტური) სოციალისტური პარტიაა. ჩვენ სინამდვილეში ვხედავთ და ვიცნობთ მხოლოდ ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს... რუსულს და სხვ. სოც. დემოკრატიას ან სოციალისტურ პარტიას.

და დასასრულ, ამ ფაქტის დამამტკიცებლად გამოდის ქართველ სოც. დემ. პარტიის ყრილობა, მან შეიგნო და შექმნა ის რისთვისაც გაცოფებული გვდევნიდნენ და გვქოლავდნენ მთელი წლობის განმავლობაში.

ჩვენ ეროვნულ ორგანიზაციაში და... სახელში იმათ სურდათ ნაციონალიზმი დაენახათ. ხოლო დღეს, მათ პარტიულ ყრილობაზე მათმა ბელადმა ჟორდანიამ განაცხადა, რომ კარგია დარაზმვა „ეროვნულ ფარგალში" „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ლოზუნგის თანახმად".

მეორე ბელადმა წერეთელმაც იგივე დაადასტურა და ჩვენ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოვლენის გამო მხოლოდ სიხარული გვმართებს, „როგორც პრაქტიკულის. ისე პრინციპიალურ-პროგრამული თვალსაზრისით".

გოროჯომის სანაპირო ჯარის ცხოვრებიდან

არ მგონია, რომ დღეს, რომელიმე ჩვენ სამხედრო ერთეულებში ადგილი ჰქონდეს ისეთს ინდიფერენტიზმს თა-

ვისი მოვალეობისადმი, როგორც ბორჯომის სანაპირო ჯარის განყოფილებაში. ამ ერთი თვის წინად გამოვიდა ბრძანება სამხედრო მინისტრისა ოფიცრებისადმი, რომელშიაც გარკვევით იყო აღნიშნული ქართველი ოფიცრის დანიშნულება და მოვალეობა. სხვათაშორის იყო ნათქვამი, რომ ოფიცერი ხშირად ჯარისკაცთან უნდა იყოს და მის ზნეობრივ განვითარებაში და აღზრდაში დიდ ენერგიას უნდა ხარჯავდეს. მაგრამ ეს ბრძანება დღემდის სისრულეში არ მოდის და რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინ.

ორი თვე გადის, რაც ჯარისკაცებთან ძალიან დაახლოვებული ვარ და მათი ყოფა ქცევის მუდმივი მოწმე, მაგრამ თითქმის ერთხელაც კი არ მახსოვს დამენახა ჯარისკაცებთან ოფიცრები და მათი უფროსი. მათ ამაცადინებს მუდამ უნტერ-ოფიცერი დამტვრეულ რუსულ ენაზე, რაზედაც ხშირად სამართლიანად უსაყვედურებენ ახალგაზრდა ჯარისკაცები: „ჩვენ რუსული არ გვესმის და ქართულად გვასწავლეო“.

ამას გარდა, ხშირია ლოთობა ოფიცრებსა და ჯარისკაცებში.

დროა ამ მოვლენას სერიოზული ყურადღება მიექცეს, თორემ ახალგაზრდა ჯარისკაცები იხრწნებიან ზნეობრივად და მათი გამოკეთება შემდეგში ძნელიღა იქნება.

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ ბორჯომის სანაპირო ჯარის უფროსები და აგრეთვე ოფიცრებიც ვერ არიან მოტრფიალენი საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი დემოკრატიული მთავრობის (სოციალისტურზე ხომ სულ ზედმეტია ლაპარაკი). ან კი რა გასაკვირველია: ჯარის უფროსები არიან ან რუსი და ან გადარუსებული ქართველი, რომელიც ორ სიტყვას ვერ იტყვის ქართულად. ჯარისკაცებს რომ ელაპარაკება თარჯიმანი სჭირდება. ამაზე ჯარისკაცები სამართლიანად შენიშნავენ: აღარ გვესმის ვის ჯარში ვითვლებით—რუსეთის ჯარში თუ ქართველების ჯარშიო“.

ზოგი ალექსეევის ჯარში შესვლასაც კი ლამობს. ჩვენ დამოუკიდებლობას და სოციალისტურ მინისტრებსაც ირონიით იხსენიებენ.

დარწმუნებული ვარ რომ ასეთ უფროსებიდან ჩვენ ჯარს კარგი არა მოელის რა. არ შემიძლია არ ურჩიო დემოკრატიულ მთავრობას ამ გარემოებას დროზე ყურადღება მიაქციოს, რომ მისგანვე გალესილი დანა მასვე ზურგში არ მოხვდეს.

გაბო ზეზელაურელი.

ამერიკიდგან საქართველოში*)

გემზე.

მიუხედავად იმისა რომ გზა რუსეთისაკენ არეულ მდგომარეობის გამო თითქმის შეკრული იყო, მაინც გადავწყვიტე გამოვსულიყავ რაც უფრო გაჭირვება შემხვედროდა. საჭირო ნებართვის აღებისთვის რუსეთის კონსულებმა ათ თვემდე მაცდევინეს, ვინაიდგან მე უპასპორტოდ გასული ვიყავი. თებერვალში კონსულებმა მიიღეს ბრძანება ტროცკისაგან: რუსეთში დაბრუნების მსურველნი უპასპორტონი გამოუშვითო. ამით ვისარგებლე, ნებართვა ავიღე გემი დავიქირავე და წამოსასვლელად მზად ვიყავი, მაგრამ რუსეთ იაპონიის შორის საქმის გართულებისა გამო გემზე აღარ აგვიშვეს და კიდევ ცდა იყო საჭირო. ამ ცდაში დეპეშა წავიკითხე ტფილისიდგან. „ქართველებმა ბათუმის ნავთსადგურში მდგომი სამხედრო გემები ზღვაში გაიყვანეს, და ქართველებმა კაც-ქალიანათ საყოველთაო მობილიზაცია მოახდინეს და ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძვიანო“, მე ოსმალების ასეთი საქციელი ქართველებისადმი გაუგებრობაში მაგდებდა.

რადგან რუსეთ იაპონიის საქმე არეული იყო გემების საზოგადოების ცდით შანხაიში (ჩინეთი) მიმავალ გემზე მოგვცეს ალაგი და თუ იაპონიაში ომი არ იქნებოდა გამოცხადებული რუსეთის წინააღმდეგ იოკოჰამაში გაივლიდა გემი და ჩვენ იქ დაგვტოვებდა. გემი მაისის 16 გამოდიოდა ქ. სანფრანცისკოდგან და გაზეთები დიდ სისასტიკეს სწამებდნენ მოხელეებს და ამიტომ ქ. სანფრანცისკოდგან გამოსვლა ისე საეჭვო იყო როგორც ამ თორმეტი წლის წინათ ჩემი ბათუმიდგან გასვლა, მაგრამ ბედს ყველაფერში ვემორჩილებოდი. ბევრს რუსეთში მიმავალს იჭერდნენ (უფრო ახალგაზრდებს 18—31 წლისას) არ უშვებდნენ. ბევრმა, რომ გაიგო ბოლშევიკები ყველაფერს ართმევენო, წამოსვლაზე უარი სთქვეს და მეც მირჩევდნენ დარჩენას რადგანაც ბარგი მქონდა. მე მათი შიში სრულიადაც არ მაინტერესებდა, ვნატრობდი იმ ნეტარ დღის მოახლოვებას, როცა სამშობლოში თავისუფლად გავივლიდი თუნდაც უპერანგოთ გავსულიყავი.

მაისის 16 საბუთების გასინჯვის შემდეგ გემზე ავედი. საღამოს 5 საათზე გემი საფრანცისკის ნავთ-სადგურიდგან დაიძრა და ქ. ჰონოლულუსკენ (ჰავაის კუნძული) გაემართა 2059 მილზე. ამერიკელებმა ზრდილობიანად დაგვემშვიდობნენ და გზა დაგვილოცეს. გულნაკლულ ამერიკელებს ძლიერ სწყენოდათ, რომ ჩვენ ასეთ საჭიროების დროს მათ ქვეყანას ვსტოვებდით და სადღაც დავთარ არეული რუსეთში ვბრუნდებოდით.

გემი ჩაინა ჩინელ ამერიკელ საზოგადოებას ეკუთნის. გემი 10,000 ტონის წყალწყვა. და გადის 14—16 უზლას გემზე ოთხასამდე 1—2 და 3-მე დარგის მგზავრი იყო (მესამე კლასი აზიელთათვის იყო).

გემზე გამართული იყო ჩინელების სავაჭროებით და ბანქოს სათამაშოებით. გემზე ოფიცრებად ამერიკელები და მოსამსახურეებად ჩინელები იყვნენ.

მაისის 24 მივედით ქ. ჰონოლულუში დილის 10 საათზე. საბუთების გაშინჯვის შემდეგ მსურველთ ქალაქის ნახვის ნება მოგვცეს. ჰავაიის კუნძულების ტერიტორია ეკუთვნის ამერიკას და ამერიკის კულტურა ძრიელ აჩნია. ქალაქ ჰონოლულუში 60 ათასამდე მცხოვრებია. აქ ტროპიკულ მცენარეებს აშენებენ და აქაური შაქრის ლერწამს ამერიკაში გზავნიან. ქალაქი სიდიდის და გვარად კარგი მოწყობილია.

საღამოს ექვს საათზე ნახშირით გამძღარი გემი ნავთსადგურიდგან გამოვიდა და იოკოჰამასკენ (იაპონია) 3445 მილზე გაემგზავრა. ნავთსადგურში მდგომმა სამმა სამხედრო გემებმა ჩვენივე გემი სამხედრო მუსიკით გამოისტუმრეს. ჰონოლულოდგან ჩინეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი მოგვემატა.

მაისის 27 180 გრადუსზე გავიარეთ და აქ დრო 24 საათით წინ წავსწიეთ და 28 მაისის მაგიერ 29 მაისი გაგვითენდა.

უკანასკნელი ღამე იყო მგზავრობისა და გემზე მყოფი ორმოცამდე რუსები სიმღერით ერთობოდნენ. ამერიკელები დაინტერესებულნი რუსების ცხოვრებაში უახლოვდებოდნენ მათი პოლიტიკურ მიმართულების გასაგებად. 40 კაცში დაახლოვებით ამდენივე მიმართულების და შეხედულების აღმოჩნდნენ.

გაიმართა კამათი ამერიკელებს და რუსებს შორის, რუსები დიდი უმრავლესობით საერთოდ ბოლშევიკურ პროგრამას იცავდნენ. იმ პროგრამას, რომელსაც ამერიკაშიც ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ და რუსეთში რა ხდებოდა ამ პროგრამის სახელით წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდნენ!

იყვნენ რუსებში ისეთები, რომლებიც ამბობდნენ: ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა ვიყო და ვინც უნდა ვიყოვო, მაგრამ ამერიკელს არ უნდოდა ამერიკელობა რუსობაში გაეცვალა!

ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსებს დაბალ კატეგორიისად სთვლიან ამერიკაში და თეთრ კანიანების რასაში არც კი სთვლიან. რუსებს საქვეყნო ოცნება იტაცებდა და იმედს არ კარგავდნენ. ამერიკელებს სწყინდათ რუსების უმადურება ამერიკისადმი.

მგზავრთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც 5—10 წელს ამერიკაში ემუშავნათ და თავიანთი ჯანი და ღონე იქ მუშაობაში დაეკარგათ და ეხლა ყოვლად უსახსრონი სახლში ბრუნდებოდნენ და ამ დაბრუნებისთვის ერთნაირ უბედურება გამოევლო. კამათი ძლიერ გაგრძელდა და გულ-ნაკლულნი ამერიკელები რუსების ასე მოქცევისთვის ჯავრობდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ გემის ახალგაზრდა კაპიტანმა თავის კომანდის საშუალებით კამათი დაშალა. ივნისის 4-ს მივედით ქ. იოკოჰამაში (იაპონია) იოკოჰამაში გამოგვიცხადეს, თუ ვინმეს გსურთ შანჰოს უკან მიიღებთ და, აქ დარჩებითო. საბუთების გაშინჯვის და შემოწმების შემდეგ შანხოსში მიმავალთ გამოვემშვიდობეთ გემიდან ქ. იოკოჰამაში გადავედით.

იაპონიაში.

იაპონია კუნძულებზე გაშენებული ქვეყანაა. იოკოჰამაში 400 ათასი სულია. იაპონლები გემიდან გადმოსვლის დროს სიხარულით შეხვდნენ და საბუთების და ბარგის შემოწმების შემდეგ ყოველგვარ რჩევის შემდეგ სასტუმროში წავედით.

ქალაქი საკმაოდ სუფთად არის გაშენებული იაპონურ გეგმაზე. სახლებში ავეჯეულობა არ აქვთ, იატაკზე სჭამენ და სძინავთ. იაპონიაში ქარხნებს იშვიათად ნახავთ და ყველაფერს მამა პაპეულად ხელის შრომით აკეთებენ. ტანზე კრული ეროვნული ტანისამოსი და ფეხებზე ორჩაფება აცვიათ (რაც კულტურულ ერის ტანისამოსს არ ჰგავს) ღარიბი ხალხი შრომაში იხოცება. ერთობ ჯოჯოხეთურ შრომას ეწევიან. პირუტყვები და ცხოველები ცოტა ჰყავთ და ცხენის მაგიერობას კაცი სწევს, როგორც ფაეტონში (ჯინკიშა) ისე დროგებში. და სულ ცოტა ჯამაგირისთვის კარგ გაწვრთნილ ცხენივით დარბიან საწყლები!

ივნისის 4-ს, ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ მან კარგი ბრინჯის მოსავალი მისცა. დღესასწაულობდნენ და მთელი დღე და ღამე ბაირაღებით აჭრელებულ თეატრის ქუჩაზე აჭრელებულ ეროვნულ ტანისამოსში მუსიკით და სიმღერით დადიოდნენ.

ქალაქში ტრამვაი დადის, მაგრამ უფრო ხელსაყრელი მგზავრობა (ჯინკიშითა) კრუმაესან (მეფაიტონე კაცი) ოთხი საათის განმავლობაში ჯინკიშით შესანიშნავი ალაგები ქალაქისა მომატარა და ისე დარბოდა, როგორც კარგი ცხენი!

ინგლისურის მოლაპარაკეს ხშირად ვხვდებოდი, თითქმის ყველგან აფთიაქებში ლაპარაკობენ ინგლისურად. და შესანიშნავ შენობებზე იაპონურ წარწერებთან ინგლისურადაც არის დაწერილი.

ქალაქში მურაიის რესტორანთან კავკასიიდან ჩამოსულ და ამერიკაში მიმავალ სომხებს და აისორებს შევხვდი. ამათ ჩვენი სამშობლოს ამბები ვკითხე, მაგრამ სამ-ოთხი თვის მამგზავრები იყვნენ და ამბები ცოტა იცოდნენ. მითხრეს, საქართველო ტფილისიანად ოსმალებმა დაიპყრესო. ერთმა ახალგაზრდა ქალიშვილმა ტფილისში მამასთან წერილი გამომატანა რომლის გვარი არ მახსოვს და წერილი კი დამეკარგა (ხაბაროვსკში წართმეულ ჩამადანს გაჰყვა).

ბევრი მათგანი საშინელ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, რადგან ამერიკაში გასვლისთვის საჭირო ნებართვა ვერ მიეღოთ ამერიკის მთავრობისგან. ამერიკაში გამსვლელისთვის საჭიროა ნაცნობის და ამერიკის მთავრობისთვის სანდო კაცის ყოლა. ამერიკის კონსული იოკოჰამაში ორასი მანეთის მიღების თანავე დეპეშას გაგზავნის ქალ. ვაშინგტონში გამსვლელის ნაცნობის პიროვნების გამოსარკვევად და თუ წამსვლელის ნაცნობი მთავრობისთვის საიმედო არის და იკისრებს მოვალეობას ახალ გასულისა ვაშინგტონიდგან კონსულს აცნობებენ ტელეგრამით და ამერიკელი კონსული მისცემს მთხოვნელს ნებართვას ამერიკაში გასვლისა. ამისთანა ბედნიერნი ლტოლვილთა შორის ცოტა იყო და როგორც სომხები და აისორები, ისე რუსებიც იაპონიიდან უკანვე რუსეთში ბრუნდებოდნენ.

მეორე დღეს ქ. ტოკიო დავიარეთ. დედა ქალაქი იაპონიის იმპერიისა კარგად არის გაშენებული არეულ იაპონურ და ევროპიულ ხელოვნებით. საინტერესო სანახაობას წარმოადგენს მიკადოს (იმპერატორის) სასახლე, რომლითაც იაპონელები ამაყობენ. სასახლე კუნძულზე არის გაშენებული და გარშემო ვეებერთელა წაფენილ ქვითკირის გალავანს გარშემო ტბა არტყია. კარებზე მისვლამდე ტბაზე ხიდი არის გასასვლელი დარაჯებით დაცული. ეზოში კი პატარა-პატარა სახლებია იაპონურად ნაშენი სასახლესთან მიმავალ პრინცებს იაპონლები დაჩოქილნი სალამს აძლევდნენ, და ჩვენ ქუდებიც რომ არ შევახძრიეთ პრინცების დანახვაზე, გაუკვირდათ აქედან ბაღები, მუზეუმი და საიმპერატორო უნივერსიტეტი დავიარეთ და ქალაქის ნაწილ ოსაკა პარკისკენ წავედით. ოსაკა პარკში შესანიშნავი თეატრები, თეატრში ამერიკულ პიესებსა სდგამენ და ინგლისურიდგან იაპონურად უთარგმნიდნენ იატაკზე მჯდომ იაპონელებს, და ჩვენ კი ინგლისურად ვკითხულობდით.

თეატრიდან ტაძრებში წავედით, სადაც ბლომად მლოცველნი იყვნენ. ლოცვა რომ არ დავიწყეთ, გვითხრა ერთმა მლოცველთაგანმა: „თუ ჩვენი ღმერთი არა გწამთ, თქვენი მაინც იწამეთო“. სწავლებისთვის მადლობა უთხარით, მას ეს ლოცვა ეგონა და მხიარულად შემოგვხედა.

ამ ბაღში მოწყობილია ბევრნაირი გასართობი და უმშვენიერესი მთელს დედამიწის ზურგზე პატარა ტბები გარშემოჭრელ ყვავილებით და წყალში აუარებელ მრავალ ფეროვან თევზებით.

ტრამვაით ტოკიოს უმთავრეს ქუჩაზე გავედით და გავიარეთ, სადაც რუსეთ-იაპონიის ომის აღსანიშნავად ძეგლი არის აღმართული. ძეგლზე მდგომი იაპონელი ღენერალი მაღლიდან გადმოჰყურებს ძეგლზე მიჯაჭულს რუსის სალდათს. ქალაქში სიდიდის და გვარად შესანიშნავი ევროპიულად ნაშენი რკინის გზის სადგურია. ვაჭრობა-მრეწველობა იაპონელების ხელშია.

მეორე დღეს ღამის 11 საათზე გამოვედით მატარებლით იოკოჰამადგან და დილის 10 საათზე მივედით ცირუგაში (იაპონიის ზღვის პირას).

იაპონიაში მიწის სიმცირის გამო კლდეებზე ზურგით ზიდვით მიწას და ნაკელს აგროვებენ და შეგროვებულ მიწაზე ტბებს აყენებენ და ზედ ბრინჯი მოჰყავთ. (იმდენ შრომით ჩვენში ბრინჯის მაგიერ ოქრო ამოვა!) მათ უმთავრეს მოსავალს ბრინჯი შეადგენს და ამას ყველაზე მეტით შრომით მუშაობენ. როგორც ქალაქში ისე ყანებშიც ცხოველის მაგიერობას ხალხი სწევს და ისე არის შებმული გუთანში.

მაშინებს და მაშინის ძალას, პირუტყვებს, ცხოველებს, რძეს, ხორცს, პურს და სიმინდს მოკლებული იაპონია სცხოვრობს და ამაყობს, თითქო ეხლანდელი კაცობრიობის კულტურა მას მოეგონოს!

საღამოს 4 საათზე გემით გავედით ცირუგიდან და 40 საათის განმავლობაში იაპონიის ზღვაში მგზავრობის შემდეგ მივედით ქ. ვლადივოსტოკში ივნისის 10-ს დილის 10 საათზე.

იოს. ლომაძე.

---

*) იხ. „სახ. საქმე“ № 394.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

იყიდება
სამოსახლო მიწა ზომით 844 ოთხკუთხი საჟენი ხაშურში (მიხაილოვში) სადგურის პირდაპირ მაღლობზე იკითხეთ 1 სანაპირო ქუჩაზე № 2. ვერის ხიდთან სამღებრო ლეგრანთან. 2468

ექიმი დ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. აკვალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ქალი ო. ბ. შიშლო.-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზუბის დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახმილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ტურაიშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი, ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვირის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი ბ. ძ. აბაშიძე შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ი. ი. ზ[illegible] ვენერიული [illegible], სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო [illegible] პირდაპირ № 8. 201

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6–8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ფ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

თვალის სამკურნალო [illegible] ექიმ დოხნიაშვილისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 623

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლ[illegible]ნისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭებისა- მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. [illegible] ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. საწყლებს ღებულობს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ა. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ზ. გ. ავეტისიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ა. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.